



## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება N27

2020 წლის 4 სექტემბერი

ქ. ხობი

### საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილების, 58-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 31 აგვისტოს N31/08/01 განკარგულების, შესაბამისად:

1. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის შესაბამის საარჩევნო კომისიებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცეთ ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები:

- ა) ქ. ხობში - N1 ბაგა-ბაღის და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შენობები;
- ბ) ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში - N2 საბავშვო ბაღის შენობა;
- გ) პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;
- დ) საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში - კულტურის სახლის შენობა;
- ე) საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფელ გაღმა საჯიჯაოს ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა;
- ვ) ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში - სასოფლო კლუბის შენობა;
- ზ) ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში - ბიბლიოთეკის შენობა;
- თ) ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში - სასოფლო კლუბის შენობა;
- ი) პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში - საბავშვო ბაღის შენობა;
- კ) ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში - საბავშვო ბაღის შენობა.
- ლ) ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში-საბავშვო ბაღის შენობა

2. საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიებისთვის გამოიყოს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები:

- ა) ქ. ხობში - ხობის კულტურის სახლის შენობა;
- ბ) ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფელ ზუბის კლუბის შენობა;
- გ) ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;
- დ) ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;
- ე) თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;
- ვ) ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში - ქვემო ქვალონის კულტურის სახლი;
- ზ) შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

თ) ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

ი) ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

კ) საგვიჩოს ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

ლ) ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა